08/10/2024

MES 7 24 0001293920

ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს სხდომის ოქმი

ქ. თბილისი

ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს სხდომას ესწრებოდნენ:

1. ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს (შემდგომში - საბჭო) წევრები:

დავით მალაზონია - შპს „თანამედროვე განათლების აკადემიის“ დირექტორი, საბჭოს თავმჯდომარე;
თამარ მამსიკაშვილი - აზიის განვითარების ბანკის პროგრამის „თანამედროვე უნარები უკეთესი დასაქმებისთვის“ სკოლების გაძლიერების სპეციალისტი, საბჭოს თავმჯდომარის მოადგილე.
მანანა ჯინჭარაძე - სსიპ მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ეროვნული ცენტრის ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების დირექტორთა ეროვნული სკოლის კონსულტანტი, საბჭოს მდივანი;
გიორგი გიგიბერია - ა(ა)იპ - ფონდ „საერთაშორისო განათლების ცენტრის“ პროგრამების მენეჯერი, საბჭოს წევრი;
ქეთევან ნატროშვილი - შპს „ქართული სასწავლებლის - თბილისის“ დირექტორის მოადგილე, საბჭოს წევრი;
პეტრე ბაბილუა - შპს „ევროპული სკოლის“ მათემატიკის დეპარტამენტის ხელმძღვანელი, საბჭოს წევრი;

მაკა მამფორია - შპს „ლამარა მარგველაშვილის სახელობის სკოლა XXI საუკუნის“ საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა კათედრის ხელმძღვანელი, საბჭოს წევრი;
მორის დანდურიშვილი - სსიპ-ქალაქ ხაშურის N1 საჯარო სკოლის დირექტორი, საბჭოს წევრი;
ნატო გაბოშვილი - სსიპ - ქალაქ თბილისი N169 საჯარო სკოლის დირექტორი, საბჭოს წევრი;
შალვა მეკრავიშვილი - სსიპ - შოთა რუსთაველის სახელობის ქ. რუსთავის N2 საჯარო სკოლის ისტორიისა და სამოქალაქო განათლების მასწავლებელი, სსიპ-მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ეროვნული ცენტრის სამოქალაქო განათლების ექსპერტი, საბჭოს წევრი.

2. სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის (შემდგომში - ცენტრი) წარმომადგენლები:
ნინო სტეფანიშვილი- ზოგადი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის კოორდინატორი
ნინო ცხოვრებაძე - ზოგადი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის მთავარი სპეციალისტი
ქეთი მუთიძე- ზოგადი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი სპეციალისტი

3. ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების წარმომადგენლები:

სსიპ - დაბა ხარაგაულის N3 საჯარო სკოლა:
ნაირა კვინიკაძე- სკოლის დირექტორი

შპს საერთაშორისო აკადემია ლოგოსი:
გიორგი ჩავლეიშვილი -სკოლის დირექტორი
ქეთევან ბაცანკალაშვილი - ხარისხის მართვის მენეჯერი

შპს ინოვაციების სკოლა:
ქრისტინე კაპანაძე -სკოლის დირექტორი

სსიპ-სამტრედიის მუნიციპალიტეტის სოფელ ჩხენიშის საჯარო სკოლა:
სვეტლანა ტყვაცირია - სკოლის დირექტორის მოვალეობის შემსრულებელი

სსიპ - ჭიათურის მუნიციპალიტეტის სოფელ უსახელოს საჯარო სკოლა:
გიორგი იაკობაძე - სკოლის დირექტორი
ნაზიბროლა ცერცვაძე - ქართული ენისა და ლიტერატურის მასწავლებელი

4. ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების ავტორიზაციის ექსპერტები (შემდგომში ექსპერტ ები):

სსიპ - დაბა ხარაგაულის N3 საჯარო სკოლა:

ა) ხათუნა ლოდია (ზოგადი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის ექსპერტი, თავმჯდომარე);
ბ) თინა ძულიაშვილი (ზოგადი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის ექსპერტი, წევრი);
გ) ეთერი ბროლაძე (საბუნებისმეტყველო მეცნიერებების საგნობრივი ექსპერტი, წევრი);
დ) ნინო კილაძე (საზოგადოებრივი მეცნიერებების საგნობრივი ექსპერტი, წევრი);

ე) ხათუნა წიკლაური (უცხოური ენების საგნობრივი ექსპერტი, წევრი);
ვ) ნათია მაკრახიძე (ესთეტიკური აღზრდის საგნობრივი ექსპერტი, წევრი);
ზ) ტოლია კილასონია (ტექნოლოგიების საგნობრივი ექსპერტი, წევრი);
თ) თეა გაბისონია (სახელმწიფო ენის საგნობრივი ექსპერტი, წევრი);
ი) მარინე ახალაია (მათემატიკის საგნობრივი ექსპერტი, წევრი);
კ) ვლადიმერი უშიკიშვილი (სპორტის საგნობრივი ექსპერტი, წევრი);
ლ) ლელა მანგოშვილი (ზოგადი განათლების დაწყებითი საფეხურის საგნობრივი ექსპერტი, წევრი).

შპს საერთაშორისო აკადემია ლოგოსი:

ა) ნანა ედიშერაშვილი (ზოგადი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის ექსპერტი, თავმჯდომარე);
ბ) მარიამ ხუციშვილი (ზოგადი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის ექსპერტი, წევრი).

შპს ინოვაციების სკოლა:

ა) ნინო თაბაგარი (ზოგადი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის ექსპერტი, თავმჯდომარე);
ბ) ნინო გედეხაური (ზოგადი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის ექსპერტი, წევრი).

სსიპ-სამტრედიის მუნიციპალიტეტის სოფელ ჩხენიშის საჯარო სკოლა:

ა) მაია ბუაძე (ზოგადი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის ექსპერტი, თავმჯდომარე);
ბ) დავით ჩივაძე (ზოგადი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის ექსპერტი, წევრი);
გ)ირმა ავალიანი (საბუნებისმეტყველო მეცნიერებების საგნობრივი ექსპერტი, წევრი);
დ) მარინა ტარუღიშვილი (საზოგადოებრივი მეცნიერებების საგნობრივი ექსპერტი, წევრი);
ე) ნინო ბურჯანაძე (უცხოური ენების საგნობრივი ექსპერტი, წევრი);
ვ) მაკა გიორგბერიძე (ესთეტიკური აღზრდის საგნობრივი ექსპერტი, წევრი);
ზ) ნონა გამხიტაშვილი (ტექნოლოგიების საგნობრივი ექსპერტი, წევრი);
თ) ნანა შალამბერიძე (სახელმწიფო ენის საგნობრივი ექსპერტი, წევრი);
ი) ჯულიეტა ტაბეშაძე (მათემატიკის საგნობრივი ექსპერტი, წევრი);
კ) ვლადიმერ უშიკიშვილი (სპორტის საგნობრივი ექსპერტი, წევრი);
ლ) ხათუნა ბენდელიანი (ზოგადი განათლების დაწყებითი საფეხურის საგნობრივი ექსპერტი, წევრი).

სსიპ - ჭიათურის მუნიციპალიტეტის სოფელ უსახელოს საჯარო სკოლა:

ა) ნანა ხუფაცარია (ზოგადი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის ექსპერტი, თავმჯდომარე);
ბ) თამარ კობახიძე (ზოგადი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის ექსპერტი, წევრი);
გ) ლაურა ჯიმშელეიშვილი (საბუნებისმეტყველო მეცნიერებების საგნობრივი ექსპერტი, წევრი);
დ) დარეჯან თედორაძე (საზოგადოებრივი მეცნიერებების საგნობრივი ექსპერტი, წევრი);
ე) ნათია ღოღობერიძე (უცხოური ენების საგნობრივი ექსპერტი, წევრი);
ვ) ლამზირა აფაქიძე (ესთეტიკური აღზრდის საგნობრივი ექსპერტი, წევრი);
ზ) ოლიკო კილაძე (ტექნოლოგიების საგნობრივი ექსპერტი, წევრი);
თ) როლანდი ხოჯანაშვილი (სახელმწიფო ენის საგნობრივი ექსპერტი, წევრი);
ი) ირინე შარაბიძე (მათემატიკის საგნობრივი ექსპერტი, წევრი);

კ) საბა დარსაველიძე (სპორტის საგნობრივი ექსპერტი, წევრი);
ლ) ეკატერინე მაკარიძე (ზოგადი განათლების დაწყებითი საფეხურის საგნობრივი ექსპერტი, წევრი).

საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის №99/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის დებულების“ (შემდგომში - დებულება) მე-17 მუხლის მე-4 პუნქტის შესაბამისად, ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს სხდომას წარუძღვა საბჭოს თავმჯდომარე, დავით მალაზონია. საბჭოს სხდომა 2024 წლის 25 სექტემბერს ჩატარდა ონლაინ რეჟიმში (Zoom - ის ონლაინ პლატფორმის საშუალებით). სხდომა დაიწყო 16:00 საათზე. საბჭოს თავმჯდომარემ შეამოწმა საბჭოს წევრთა რაოდენობა და დაადგინა, რომ საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის №99/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის დებულების“ მე-17 მუხლის მე-5 პუნქტის შესაბამისად, სხდომა უფლებამოსილია, რადგან ესწრება საბჭოს წევრთა სიითი შემადგენლობის ნახევარზე მეტი.
ცენტრის წარმომადგენელმა საბჭოს წინაშე დააყენა შუამდგომლობა სხდომის მიმდინარეობის აუდიო ჩაწერასთან დაკავშირებით სხდომის ოქმის მომზადების მიზნით. მან აქვე განმარტა, რომ აუდიო ჩანაწერი განადგურდებოდა ოქმის პროექტის მომზადებისთანავე. საბჭოს სხდომაზე დამსწრე პირებმა გაიზიარეს აღნიშნული შუამდგომლობა.
საბჭოს თავმჯდომარემ საბჭოს წევრებს მიუთითა დებულების მე-20 მუხლის მე-7 პუნქტის მოთხოვნაზე, რომლის მიხედვითაც, საბჭოს წევრი არ არის უფლებამოსილი თავი შეიკავოს ხმის მიცემისაგან.

საბჭოს თავმჯდომარემ საბჭოს წევრებს გააცნო დღის წესრიგი:

1. სსიპ - დაბა ხარაგაულის N3 საჯარო სკოლის ავტორიზაციის საკითხის განხილვა;
2. შპს - საერთაშორისო აკადემია ლოგოსის მიერ იმავე მუნიციპალიტეტის ფარგლებში საგანმანათლებლო საქმიანობის მისამართის/ფართის ცვლილების შესახებ საკითხის განხილვა;
3. შპს - საერთაშორისო აკადემია ლოგოსის მიერ მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობის გაზრდის შესახებ საკითხის განხილვა;
4. შპს - ინოვაციების სკოლის მიერ მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობის გაზრდის შესახებ საკითხის განხილვა;
5. სსიპ - სამტრედიის მუნიციპალიტეტის სოფელ ჩხენიშის საჯარო სკოლის ავტორიზაციის საკითხის განხილვა;
6. სსიპ - ჭიათურის მუნიციპალიტეტის სოფელ უსახელოს საჯარო სკოლის ავტორიზაციის საკითხის განხილვა.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, ცენტრის წარმომადგენლებსა და დაინტერესებულ მხარეებს, დღის წესრიგთან დაკავშირებით ხომ არ ჰქონდათ რაიმე შუამდგომლობა. დღის წესრიგთან დაკავშირებით შუამდგომლობა არ იქნა წარმოდგენილი და შესაბამისად, დღის წესრიგი დამტკიცდა წარმოდგენილი სახით.

1. სსიპ - დაბა ხარაგაულის N3 საჯარო სკოლის ავტორიზაციის საკითხის განხილვა

ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს თავმჯდომარემ, დავით მალაზონიამ, დაწესებულებების წარმომადგენლებს მიმართა, ხომ არ ჰქონდათ საბჭოს წევრების მიმართ აცილება. დაწესებულების წარმომადგენლებმა დაადასტურეს, რომ საბჭოს წევრების მიმართ აცილება არ ჰქონდათ. საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას და დაწესებულების მიერ წარმოდგენილ არგუმენტირებულ პოზიციას დასკვნის პროექტთან მიმართებით. საბჭოს წევრებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ საქმის მასალებს. საბჭოს თავმჯდომარემ ჰკითხა დაინტერესებული მხარის წარმომადგენელს იცნობდა თუ არა ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. წარმომადგენელმა დაადასტურა, რომ იცნობდა დასკვნას. შესაბამისად, საბჭოს თავმჯდომარემ საბჭოს მდივანს სთხოვა, რომ ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა დაერთო ოქმისთვის, როგორც მისი განუყოფელი ნაწილი.

ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა საბჭოს სხდომაზე წარადგინა ზოგადი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის ექსპერტმა, ხათუნა ლოდიამ. ექსპერტმა განაცხადა, რომ სსიპ - დაბა ხარაგაულის N3 საჯარო სკოლაში ავტორიზაციის ვიზიტი განხორციელდა 2024 წლის 20 და 21 ივნისს. სკოლა ახორციელებდა ზოგადი განათლების დაწყებითი, საბაზო და საშუალო საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამებს, ქართულ ენაზე. ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების სტატუსის მაძიებლის თვითშეფასების ფორმის თანახმად, დაწესებულების მიერ მოთხოვნილი მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობა იყო 250. აქვე, ექსპერტმა განმარტა, რომ აღნიშნულ მოთხოვნას ეთანხმებოდა ექსპერტთა ჯგუფი და დაწესებულებას შეეძლო შესაბამისი საგანმანათლებლო მომსახურება გაეწია 250 მოსწავლისთვის.

ექსპერტმა, ხათუნა ლოდიამ, ისაუბრა ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის სტანდარტების შეფასებაზე და აღნიშნა, რომ 1-ელი (სკოლის ფილოსოფია) და მე-4 (მოსწავლეთა მხარდაჭერა) სტანდარტები შეფასდა, როგორც „შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს“ მე-2 (სასკოლო კურიკულუმი) (დაწყებითი, საბაზო და საშუალო საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამები) სტანდარტი შეფასდა „მეტწილი შესაბამისობით“, ხოლო მე-3 (სასწავლო პროცესის ადმინისტრაციული და ინფრასტრუქტურული მხარდაჭერა) სტანდარტი შეფასებული იყო, როგორც „ნაწილობრივ შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს“.

ექსპერტის თქმით, ექსპერტთა ჯგუფის მიერ დაწესებულების მიმართ გაიცა რეკომენდაციები და რჩევები, რომელებიც აღწერილი იყო ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების სტატუსის მაძიებლის შესახებ ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების ექსპერტთა ჯგუფის დასკვნაში.

ექსპერტმა წარმოადგინა დაწესებულების შენობის ამსახველი ფოტო-მასალა და აღნიშნა, რომ სკოლაში იყო კეთილმოწყობილი საკლასო ოთახები, ბიბლიოთეკა, რესურს ოთახი და კომპიუტერული ლაბორატორია.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, ხომ არ ჰქონდათ შეკითხვები სკოლის წარმომადგენლებთან ან ექსპერტებთან.

საბჭოს წევრმა, მორის დანდურიშვილმა, სკოლის წარმომადგენელს მისცა რჩევა, დაწესებულების მიერ გამოცემული ბრძანებები მოეყვანა კანონმდებლობასთან შესაბამისობაში,კერძოდ, სამართლებრივი საფუძვლები მიეთითებინათ სწორად.ასევე, ადამიანური რესურსების მართვის პოლიტიკის დოკუმენტი დასამტკიცებლად წარედგინა სამეურვეო საბჭოსთვის.

საბჭოს მდივანმა, მანანა ჯინჭარაძემ, მიმართა სკოლის წარმომადგენელს, საბჭოსთვის გაეცნო მეტი დეტალი, როგორ ხორციელდებოდა დაწესებულებაში პროექტული სწავლება. სკოლის დირექტორის, ნაირა კვინიკაძის, განმარტებით, დაწესებულება ჩართული იყო USAID-ის სამოქალაქო განათლების პროგრამაში, რომლის ფარგლებშიც სკოლა ახორციელებდა სხვადასხვა ღონისძიებასა და პროგრამას, გარდა ამისა, მას შემდეგ, რაც აირჩევდნენ თვითმმართველობის ახალ წევრებს, სკოლა აქტიურად განახორციელებდა პროექტული სწავლების მიმართულებას და გაამრავალფეროვნებდა აქტივობებს.

საბჭოს თავმჯდომარემ, დავით მალაზონიამ, აღნიშნა, რომ სასკოლო კურიკულუმებს ესაჭიროებოდა გადახედვა და მოდიფიცირება, რათა თანხვედრაში მოსულიყო სტანდარტების მოთხოვნებთან.
საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, ხომ არ ჰქონდათ დამატებითი შეკითხვები სკოლის წარმომადგენლებთან ან ექსპერტებთან.

საბჭოს წევრებს შეკითხვები არ ჰქონდათ.

საბჭოს თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა სსიპ - დაბა ხარაგაულის N3 საჯარო სკოლის ავტორიზაციისა და მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობის 250 - ით განსაზღვრის საკითხი.

ფარული კენჭისყრის მიზნით, საბჭოს სხდომაზე გამოცხადდა სათათბირო შესვენება.

დაწყების დრო: 16:30
დასრულების დრო: 16:37

კენჭისყრის შედეგები:
მომხრე - 10
წინააღმდეგი - 0

გადაწყვეტილება:

„განათლების ხარისხის განვითარების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-11 მუხლის მე-2 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის N99/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის დებულების“ მე-20 მუხლის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის, 21-ე მუხლის პირველი, მე-2 და მე-3 პუნქტებისა და 27 მუხლის მე-4 პუნქტის შესაბამისად, სსიპ - დაბა ხარაგაულის N3 საჯარო სკოლას (ს/კ: 243571979) 9 წლის ვადით მიენიჭოს ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების სტატუსი და მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობა განესაზღვროს 250 - ით. დაწესებულებას მიენიჭოს უფლებამოსილება განახორციელოს შემდეგი ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამები:

N	ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამის სახელწოდება	ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამის საფეხური	ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების ენა	ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების ადგილი (მუნიციპალიტეტის, ქალაქის, დაბის/სოფლის და ქუჩის მითითებით)
1	ზოგადი განათლების დაწყებითი საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა	დაწყებითი	ქართული	დაბა ხარაგაული, სოლომონ მეფის ქუჩა N11
2	ზოგადი განათლების საბაზო საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა	საბაზო	ქართული	დაბა ხარაგაული, სოლომონ მეფის ქუჩა N11

3	ზოგადი განათლების საშუალო საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა	საშუალო	ქართული	დაბა ხარაგაული, სოლომონ მეფის ქუჩა N11

საბჭომ შუამდგომლობით მიმართა ცენტრს დაწესებულებაში მონიტორინგის განხორციელებას თან დაკავშირებით:

- **მონიტორინგი ექსპერტთა ჯგუფის შექმნით:**

მონიტორინგის დაწყების პერიოდი -2026 წლის სექტემბრიდან;
მონიტორინგის განხორციელების ფორმა - ადგილზე ვიზიტი;
მონიტორინგის ფარგლები: 1-ელი, მე-2 (დაწყებითი, საბაზო და საშუალო საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამები) და მე-3 სტანდარტები.

საბჭოს გადაწყვეტილებით, დღის წესრიგით გათვალისწინებული მე-2 და მე-3 საკითხები გაერთიანებულ ფორმატში განიხილებოდა, რადგან შეეხებოდა ერთი სკოლის საგანმანათლებლო პროგრამების განხორციელების ადგილის/ფართის ცვლილებისა და მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობის გაზრდის შესახებ საკითხებს.

2. შპს საერთაშორისო აკადემია ლოგოსის მიერ იმავე მუნიციპალიტეტის ფარგლებში საგანმანა თლებლო საქმიანობის მისამართის/ფართის ცვლილების შესახებ საკითხის განხილვა;
3. შპს საერთაშორისო აკადემია ლოგოსის მიერ მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობ ის გაზრდის შესახებ საკითხის განხილვა.

ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს თავმჯდომარემ, დავით მალაზონიამ, დაწესებულებების წარმომადგენლებს მიმართა, ხომ არ ჰქონდათ საბჭოს წევრების მიმართ აცილება. დაწესებულების წარმომადგენლებმა დაადასტურეს, რომ საბჭოს წევრების მიმართ აცილება არ ჰქონდათ. საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას და დაწესებულების მიერ წარმოდგენილ არგუმენტირებულ პოზიციას დასკვნის პროექტთან მიმართებით. საბჭოს წევრებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ საქმის მასალებს. საბჭოს თავმჯდომარემ ჰკითხა დაინტერესებული მხარის წარმომადგენელს იცნობდა თუ არა ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. წარმომადგენელმა დაადასტურა, რომ იცნობდა დასკვნას. შესაბამისად, საბჭოს თავმჯდომარემ საბჭოს მდივანს სთხოვა, რომ ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა დაერთო ოქმისთვის, როგორც მისი განუყოფელი ნაწილი.
ექსპერტთა ჯგუფის დასკვნები, საბჭოს სხდომაზე, წარადგინა ექსპერტმა, ნანა ედიშერაშვილმა. ექსპერტმა განაცხადა, რომ დაწესებულებაში ვიზიტი განხორციელდა 2024 წლის 06 აგვისტოს. ვიზიტის საფუძველს წარმოადგენდა ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობის გაზრდისა და ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების მიერ იმავე მუნიციპალიტეტის ფარგლებში საგანმანათლებლო საქმიანობის მისამართის/ფართის ცვლილების განაცხადები. ექსპერტმა განაცხადა, რომ დაწესებულება მდებარეობდა ქალაქ თბილისში, გამსახურდიას გამზირი N34 -ში და ახორციელებდა დაწყებითი, საბაზო და საშუალო საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამებს ქართულ ენაზე. ექსპერტის თქმით, დაწესებულებამ შეიცვალა მისამართი და გადადიოდა ქალაქ თბილისში, ლეო კვაჭაძის I ჩიხი N6-ში და აქედან გამომდინარე, დაწესებულება ითხოვდა ქ.

თბილისში, აღნიშნულ მისამართზე, ფართის ცვლილებას, სადაც განახორციელებდა ზოგადი განათლების დაწყებითი, საბაზო და საშუალო საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამებს, ქართულ ენაზე.
ნანა ედიშერაშვილის განმარტებით, ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების ავტორიზაციის საბჭოს 2023 წლის 13 სექტემბრის N1144739 გადაწყვეტილებით, დაწესებულებას მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობა განსაზღვრული ჰქონდა 580 მოსწავლით. აქვე, ექსპერტმა დასძინა, რომ დაწესებულება ითხოვდა მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობის გაზრდას და 882-ით განსაზღვრას.
ექსპერტის განმარტებით, ვიზიტის პერიოდში სკოლაში მიმდინარეობდა სარემონტო სამუშაოები, აქედან გამომდინარე, დაწესებულებას განათლების, მეცნიერებისა და ახალგაზრდობის სამინისტროსგან ჰქონდა თანხმობა, 2024 - 2025 სასწავლო წელი დაეწყო 2024 წლის 30 სექტემბერს. ექსპერტის თქმით, სკოლას წარმოდგენილი ჰქონდა შპს „კერ გრუპთან“ გაფორმებული შეთანხმება, სარემონტო სამუშაოების გეგმა-გრაფიკთან დაკავშირებით, რომლის თანახმადაც, კომპანია სარემონტო სამუშაოებს სრულად დაასრულებდა 2024 წლის 15 სექტემბერს.
ექსპერტმა, ნანა ედიშერაშვილმა, ისაუბრა სკოლის საუკეთესო გამოცდილების შესახებ და აღნიშნა, რომ გენერალური დირექტორი და სკოლის მენეჯმენტი აქტიურად იყენებდა სასკოლო გარემოს კვლევის მეთოდებს იმისათვის, რომ გაუმჯობესებულიყო ხარისხი. ექსპერტის თქმით, დაწესებულების ახალი ინფრასტრუქტურა სრულად იყო მორგებული სასკოლო საზოგადოების საჭიროებებსა და ინტერესებზე და სწორედ აღნიშნულის გათვალისწინებით განხორციელდა სკოლის გაფართოება და ახალ მისამართზე სრულად თანამედროვე, მოსწავლეზე ორიენტირებული საგანმანათლებლო სივრცის მოწყობა. ასევე, სკოლა ატარებდა მრავალფეროვან კვლევით აქტივობას, რათა განევითარებინა სწავლა-სწავლების ხარისხი.
ექსპერტმა, განაცხადა, რომ ექსპერტთა ჯგუფს აღნიშნული წარმოებების ფარგლებში დაევალა დებულების მე-5 მუხლის პირველი პუნქტის „გ“ ქვეპუნქტით გათვალისწინებული სტანდარტის პირობების შესრულების შემოწმება. ექსპერტის თქმით, მე-3 სტანდარტი შეფასდა, როგორც „მეტწილად შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს“, ვინაიდან კომპონენტი 3.5 (მატერიალური რესურსები და ინფრასტრუქტურა) შეფასდა „მეტწილი შესაბამისობით“. აღნიშნული განპირობებული იყო იმით, რომ საჯარო რეესტრის ამონაწერში არ იყო დაზუსტებული სკოლის ძირითადი შენობის ფართი. შენობა-ნაგებობის შიდა აზომვითი ნახაზის მიხედვით, შენობა იყო სამსართულიანი და ჰქონდა საკლასო ოთახები, საბუნებისმეტყველო მეცნიერებებისა და კომპიუტერული ტექნოლოგიების ლაბორატორიები, მოსასვენებელი სივრცეები, საერთო სარგებლობის სივრცეები და სპორტული ინფრასტრუქტურა, რომელიც მორგებული იყო მოსწავლეთა საჭიროებებს.
საბჭოს თავმჯდომარემ, დავით მალაზონიამ მიმართა სკოლის წარმომადგენელს, განემარტა, ექსპერტთა ჯგუფის ვიზიტის შემდგომ, შეიცვალა თუ არა რაიმე დაწესებულებაში.
სკოლის დირექტორის, გიორგი ჩავლეიშვილის, განმარტებით, დაწესებულებაში სარემონტო სამუშაოები დასრულებული იყო. აქტიურ რეჟიმში მიმდინარეობდა დასუფთავებისა და ინფრასტრუქტურის მოწყობის პროცესი.
სკოლის წარმომადგენლის, ქეთევან ბაცანკალაშვილის, განმარტებით, დაწესებულებას მზად ჰქონდა საჯარო რეესტრის ამონაწერი.
საბჭოს თავმჯდომარის მოადგილე, თამარ მამსიკაშვილი, დაინტერესდა, სკოლის შენობა იყო თუ არა ექსპლუატაციაში მიღებული.
სკოლის წარმომადგენლის განცხადებით, შენობა არ იყო ექსპლუატაციაში მიღებული, თუმცა ჰქონდა ექსპერტიზის დასკვნა, შენობა-ნაგებობის მდგრადობის შესახებ.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, ხომ არ ჰქონდათ შეკითხვები სკოლის წარმომადგენლებთან ან ექსპერტებთან.

საბჭოს წევრებს შეკითხვები არ ჰქონდათ.
საბჭოს თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა:

1. შპს - საერთაშორისო აკადემია ლოგოსის მიერ იმავე მუნიციპალიტეტის ფარგლებში საგანმანათლებლო საქმიანობის მისამართის/ფართის ცვლილების საკითხი
2. შპს - საერთაშორისო აკადემია ლოგოსის მიერ მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობის გაზრდისა და 882-ით განსაზღვრის საკითხი.

ფარული კენჭისყრის მიზნით, საბჭოს სხდომაზე გამოცხადდა სათათბირო შესვენება.

დაწყების დრო: 17:14
დასრულების დრო: 17:23

კენჭისყრის შედეგები:
მომხრე -10
წინააღმდეგი - 0

მოსწავლეთა მობილობის ვადების გათვალისწინებით, სკოლის წარმომადგენელმა შუამდგომლობით მიმართა საბჭოს ზემოაღნიშნული გადაწყვეტილების ძალაში შესვლის თარიღად განსაზღვრულიყო საბჭოს სხდომის ჩატარების დღე, 2024 წლის 25 სექტემბერი. საბჭოს წევრებმა გაიზიარეს აღნიშნული შუამდგომლობა.

1. **გადაწყვეტილება:**

ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების მიერ წარმოდგენილი ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების ადგილის/ფართის ცვლილების შესახებ განაცხადის, ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნის, ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს სხდომაზე დაინტერესებული მხარის მიერ დაფიქსირებული პოზიციის შესწავლის, შეფასებისა და ურთიერთშეჯერების საფუძველზე, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის №99/ნ ბრძანებით დამტკიცებული ,,საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის დებულების“ 25^2 -ე მუხლის მე-9 პუნქტისა და მე-20 მუხლის მე-11 პუნქტისა და 27 მუხლის მე-4 პუნქტის შესაბამისად, განხორციელდეს შპს - საერთაშორისო აკადემია ლოგოსის (ს/კ: 404989704) მიერ ზოგადი განათლების დაწყებითი, საბაზო და საშუალო საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამების განხორციელების ადგილის ფართის ცვლილება.

დაწესებულებას მიენიჭოს უფლებამოსილება განახორციელოს დაწყებითი, საბაზო და საშუალო ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამები შემდეგ მისამართზე:

N	ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამის სახელწოდება	ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამის საფეხური	ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების ენა	ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების ადგილი (მუნიციპალიტეტის, ქალაქის, დაბის/სოფლის და ქუჩის მითითებით)

1	ზოგადი განათლების დაწყებითი საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა	დაწყებითი	ქართული	ქალაქი თბილისი, ლეო კვაჭაძის I ჩიხი, N6
2	ზოგადი განათლების საბაზო საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა	საბაზო	ქართული	ქალაქი თბილისი, ლეო კვაჭაძის I ჩიხი, N6
3	ზოგადი განათლების საშუალო საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა	საშუალო	ქართული	ქალაქი თბილისი, ლეო კვაჭაძის I ჩიხი, N6

აღნიშნული გადაწყვეტილების ძალაში შესვლის თარიღია 2024 წლის 25 სექტემბერი.

- **მონიტორინგი ცენტრის მიერ ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების მიერ წარმოდგენილი დოკუმენტებისგანხილვით**

საბჭომ დაწესებულებას განუსაზღვრა 2025 წლის სექტემბერში 3.5 კომპონენტთან მიმართებით, სახანძრო უსაფრთხოების მოთხოვნებთან შესაბამისობის შესახებ დასკვნის წარმოდგენა სსიპ- განათლების ხარისხის განვითარების ეროვნულ ცენტრში. ხოლო შენობის ექსპლუატაციის უსაფრთხოების შესახებ დასკვნის წარმოდგენა მოპოვებისთანავე.

2. გადაწყვეტილება:

ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების მიერ წარმოდგენილი მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობის გაზრდის შესახებ განაცხადის, ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნის, ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს სხდომაზე დაინტერესებული მხარის მიერ დაფიქსირებული პოზიციის შესწავლის, შეფასებისა და ურთიერთშეჯერების საფუძველზე, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის N99/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის დებულების“ მე-20 მუხლის მე-11 პუნქტის, 28-ე მუხლის მე-5 პუნქტისა და 29-ე მუხლის მე-12 პუნქტისა და 27 მუხლის მე-4 პუნქტის შესაბამისად, შპს - საერთაშორისო აკადემია ლოგოსს (ს/კ: 404989704) მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობა განესაზღვროს 882-ით.
აღნიშნული გადაწყვეტილების ძალაში შესვლის თარიღია 2024 წლის 25 სექტემბერი.

4. შპს ინოვაციების სკოლის მიერ მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობის გაზრდის შ ესახებ საკითხის განხილვა

ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს თავმჯდომარემ, დავით მალაზონიამ, დაწესებულებების წარმომადგენლებს მიმართა, ხომ არ ჰქონდათ საბჭოს წევრების მიმართ აცილება. დაწესებულების წარმომადგენლებმა დაადასტურეს, რომ საბჭოს წევრების მიმართ აცილება არ ჰქონდათ. საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას და დაწესებულების მიერ წარმოდგენილ არგუმენტირებულ პოზიციას დასკვნის პროექტთან

მიმართებით. საბჭოს წევრებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ საქმის მასალებს. საბჭოს თავმჯდომარემ ჰკითხა დაინტერესებული მხარის წარმომადგენელს იცნობდა თუ არა ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. წარმომადგენელმა დაადასტურა, რომ იცნობდა დასკვნას. შესაბამისად, საბჭოს თავმჯდომარემ საბჭოს მდივანს სთხოვა, რომ ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა დაერთო ოქმისთვის, როგორც მისი განუყოფელი ნაწილი.

ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა, საბჭოს სხდომაზე, წარადგინა ექსპერტმა, ნინო თაბაგარმა. ექსპერტმა განაცხადა, რომ დაწესებულებაში ვიზიტი განხორციელდა 2024 წლის 08 აგვისტოს. ვიზიტის საფუძველს წარმოადგენდა ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობის გაზრდის შესახებ განაცხადი. ექსპერტმა განაცხადა, რომ დაწესებულება ახორციელებდა დაწყებითი, საბაზო და საშუალო საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამებს, ქართულ ენაზე.

ნინო თაბაგარის განმარტებით, ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების ავტორიზაციის საბჭოს 2023 წლის 23 მაისის N585799 გადაწყვეტილებით, დაწესებულებას მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობა განსაზღვრული ჰქონდა 180 მოსწავლით. აქვე, ექსპერტმა დასძინა, რომ დაწესებულება ითხოვდა მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობის გაზრდას და 365-ით განსაზღვრას.

ექსპერტმა, ისაუბრა სკოლის საუკეთესო გამოცდილების შესახებ და აღნიშნა, რომ დაწესებულება დიდ ძალისხმევას დებდა საუკეთესო პრაქტიკების მოძიებასა და საერთაშორისო პარტნიორების შეძენაზე. მისი თქმით, მიმდინარე წლის გაზაფხულზე სკოლის წარმომადგენლები სამუშაო ვიზიტით იმყოფებოდნენ ლატვიასა და ესტონეთში, რომლის ფარგლებშიც ჩატარდა სამუშაო შეხვედრები და დაიგეგმა მომავალი თანამშრომლობის გზები. სკოლასთან მზადდებოდა თანამშრომლობის მემორანდუმი, რომლის ფარგლებშიც ტალინის საერთაშორისო სკოლა გაუზიარებდა თავის გამოცდილებას, როგორც სკოლის მართვის, ასევე საგანმანათლებლო პროგრამების დაგეგმვისა და განხორციელების ნაწილში. კონკრეტულად კი, დაიგეგმა ერთობლივი ERASMUS+ საგრანტო პროგრამისა და ესტონეთის მთავრობის მცირე მხარდაჭერის საგრანტო პროგრამისთვის განცხადების მომზადება. ექსპერტმა აღნიშნა, რომ ERASMUS+-ის საერთაშორისო ბანაკში ნორვეგიელ მოსწავლეებთან ერთად, ჩართული იყვნენ შპს- ინოვაციების სკოლის მე-10 კლასის ხუთი მოსწავლე. ეკო კლუბის ფარგლებში მოსწავლეები ახორციელებდნენ სხვადასხვა პროექტს. ასევე, სკოლის ფინანსური მხარდაჭერით, მე-9 და მე-10 კლასელებმა მონაწილეობა მიიღეს გაეროს მოდელირებაში, რომლის მიზანსაც წარმოადგენდა მოსწავლეებისთვის გაეროს მდგრადი მიზნების გაცნობა და სიმულაციაში ჩართულობა.

ექსპერტის თქმით, ექსპერტთა ჯგუფს დაევალა შპს ინოვაციების სკოლაში დებულების მე-5 მუხლის პირველი პუნქტის „გ“ ქვეპუნქტით გათვალისწინებული სტანდარტის შესრულების შემოწმება. მისი თქმით, მე-3 სტანდარტი (სასწავლო პროცესის ადმინისტრაციული და ინფრასტრუქტურული მხარდაჭერა) შეფასდა, როგორც „მეტწილად შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს“, ვინაიდან კომპონენტი 3.4 (ადამიანებისა და პროცესების უსაფრთხოება) შეფასდა „მეტწილი შესაბამისობით“. ექსპერტის თქმით, ექსპერტთა ჯგუფის მიერ დაწესებულების მიმართ გაიცა რეკომენდაციები და რჩევები, რომელებიც აღწერილი იყო ექსპერტთა ჯგუფის დასკვნაში.

ექსპერტმა, ნინო თაბაგარმა, წარმოადგინა სკოლის შენობის ინფრასტრუქტურის ამსახველი ფოტო-მასალა და აღნიშნა, რომ დაწესებულებაში შექმნილი იყო კეთილმოწყობილი და ადაპტირებული გარემო, ჰქონდა ყველა საჭირო რესურსით აღჭურვილი საბუნებისმეტყველო და კომპიუტერული მეცნიერებების ლაბორატორია, ბიბლიოთეკა, ექიმის კაბინეტი და სპორტული დარბაზი.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, ხომ არ ჰქონდათ შეკითხვები სკოლის წარმომადგენლებთან ან ექსპერტებთან.

საბჭოს წევრი, შალვა მეკრავიშვილი დაინტერესდა, რამდენ მოსწავლეზე იყო გათვლილი სკოლის სპორტული დარბაზი. ასევე, კითხვით მიმართა სკოლის წარმომადგენელს, რა

მდგომარეობა იყო შენობა-ნაგებობის მდგრადობის შესახებ დასკვნასთან დაკავშირებით. ექსპერტის, ნინო თაბაგარის განმარტებით, აღნიშნული დარბაზი იყო ტანვარჯიშის, ხოლო სპორტის გაკვეთილები ტარდებოდა საცურაო აუზ „თოლიაში“, რომელთანაც სკოლას გაფორმებული ჰქონდა ხელშეკრულება.
სკოლის დირექტორის, ქრისტინე კაპანაძის, განმარტებით, დაწესებულებაში სკოლის შენობის მდგრადობის შესამოწმებლად იყვნენ ლევან სამხარაულის ექსპერტიზის ბიუროს წარმომადგენლები და უახლოეს მომავალში ელოდებოდნენ დასკვნას.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, ხომ არ ჰქონდათ დამატებითი შეკითხვები სკოლის წარმომადგენლებთან ან ექსპერტებთან.

საბჭოს წევრებს შეკითხვები არ ჰქონდათ.

საბჭოს თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა:

შპს - ინოვაციების სკოლის მიერ მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობის გაზრდისა და 365-ით განსაზღვრის საკითხი.

ფარული კენჭისყრის მიზნით, საბჭოს სხდომაზე გამოცხადდა სათათბირო შესვენება.

დაწყების დრო: 17:35
დასრულების დრო: 17:40

კენჭისყრის შედეგები:
მომხრე -10
წინააღმდეგი - 0

გადაწყვეტილება:

ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების მიერ წარმოდგენილი მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობის გაზრდის შესახებ განაცხადის, ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნის, ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს სხდომაზე დაინტერესებული მხარის მიერ დაფიქსირებული პოზიციის შესწავლის, შეფასებისა და ურთიერთშეჯერების საფუძველზე, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის N99/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის დებულების“ 27 მუხლის მე-4 პუნქტის, 28-ე მუხლის მე-5 პუნქტისა და 29-ე მუხლის მე-12 პუნქტის შესაბამისად, შპს - ინოვაციების სკოლას (ს/კ: 416372696) მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობა განესაზღვროს 365-ით.

საბჭომ შუამდგომლობით მიმართა ცენტრს დაწესებულებაში მონიტორინგის განხორციელებას თან დაკავშირებით:

- **მონიტორინგი ცენტრის მიერ ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების მიერ წარმოდგენილი დოკუმენტებისგანხილვით**

საბჭომ დაწესებულებას განუსაზღვრა 2025 წლის სექტემბერში 3.4 კომპონენტთან მიმართებით, შენობა-ნაგებობების მდგრადობის შესახებ დასკვნის წარმოდგენა სსიპ- განათლების ხარისხის განვითარების ეროვნულ ცენტრში.

5. სსიპ - სამტრედიის მუნიციპალიტეტის სოფელ ჩხენიშის საჯარო სკოლის ავტორიზაციის საკითხის განხილვა

ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს თავმჯდომარემ, დავით მალაზონიამ, დაწესებულებების წარმომადგენლებს მიმართა, ხომ არ ჰქონდათ საბჭოს წევრების მიმართ აცილება. დაწესებულების წარმომადგენლებმა დაადასტურეს, რომ საბჭოს წევრების მიმართ აცილება არ ჰქონდათ. საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას და დაწესებულების მიერ წარმოდგენილ არგუმენტირებულ პოზიციას დასკვნის პროექტთან მიმართებით. საბჭოს წევრებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ საქმის მასალებს. საბჭოს თავმჯდომარემ ჰკითხა დაინტერესებული მხარის წარმომადგენელს იცნობდა თუ არა ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. წარმომადგენელმა დაადასტურა, რომ იცნობდა დასკვნას. შესაბამისად, საბჭოს თავმჯდომარემ საბჭოს მდივანს სთხოვა, რომ ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა დაერთო ოქმისთვის, როგორც მისი განუყოფელი ნაწილი.
ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა საბჭოს სხდომაზე წარადგინა ზოგადი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის ექსპერტმა, მაია ბუაძემ. ექსპერტმა განაცხადა, რომ სსიპ - სამტრედიის მუნიციპალიტეტის სოფელ ჩხენიშის საჯარო სკოლაში ავტორიზაციის ვიზიტი განხორციელდა 2024 წლის 12 და 13 აგვისტოს. სკოლა ახორციელებდა ზოგადი განათლების დაწყებითი, საბაზო და საშუალო საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამებს, ქართულ ენაზე. ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების სტატუსის მაძიებლის თვითშეფასების ფორმის თანახმად, დაწესებულების მიერ მოთხოვნილი მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობა იყო 200. აქვე, ექსპერტმა განმარტა, რომ აღნიშნულ მოთხოვნას ეთანხმებოდა ექსპერტთა ჯგუფი და დაწესებულებას შეეძლო შესაბამისი საგანმანათლებლო მომსახურება გაეწია 200 მოსწავლისთვის.
ექსპერტმა, წარმოადგინა დაწესებულების შენობის ამსახველი ფოტო-მასალა და აღნიშნა, რომ სკოლის შენობა იყო კეთილმოწყობილი და აღჭურვილი ყველა საჭირო რესურსით. დაწესებულებას ჰქონდა ლიფტი.
ექსპერტის განმარტებით, სკოლა განსაკუთრებულ ყურადღებას აქცევდა არაფორმალური განათლების ხელშეწყობას და მოსწავლეთა ინტერესების გათვალისწინებას. სკოლაში შექმნილი იყო წრეები: „ეკო წრე“, „ბუნების მცველები“, „კლუბი მკითხველები“ და ა.შ.
ექსპერტმა, მაია ბუაძემ, ისაუბრა ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის სტანდარტების შეფასებაზე და აღნიშნა, რომ 1-ელი (სკოლის ფილოსოფია), მე-4 (მოსწავლეთა მხარდაჭერა) და მე-2 (სასკოლო კურიკულუმი) (დაწყებითი საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა) სტანდარტები შეფასდა, როგორც „შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს, ხოლო მე-2 (სასკოლო კურიკულუმი) (საბაზო და საშუალო საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამები) და მე-3 (სასწავლო პროცესის ადმინისტრაციული და ინფრასტრუქტურული მხარდაჭერა) სტანდარტები შეფასებული იყო, როგორც „მეტწილად შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს“.
ექსპერტის თქმით, ექსპერტთა ჯგუფის მიერ დაწესებულების მიმართ გაიცა რეკომენდაციები და რჩევები, რომელებიც აღწერილი იყო ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების სტატუსის მაძიებლის შესახებ ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების ექსპერტთა ჯგუფის დასკვნაში.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, ხომ არ ჰქონდათ შეკითხვები სკოლის წარმომადგენლებთან ან ექსპერტებთან.
საბჭოს თავმჯდომარის მოადგილე, თამარ მამსიკაშვილი, დაინტერესდა, როგორ შეაფასებდნენ ექსპერტები სკოლის მიერ წარმოდგენილ კურიკულუმებს.
მათემატიკის საგნობრივი ექსპერტის, ჯულიეტა ტაბეშაძის, განმარტებით, სკოლას წარმოდგენილი ჰქონდა კურიკულუმები, თუმცა გარკვეულ საკითხებზე ექსპერტების მხრიდან გაცემული იყო რჩევები, რომელთა ძირითადი ნაწილიც ეხებოდა კომპლექსური დავალებების გამრავალფეროვნებას.
საბუნებისმეტყველო მეცნიერებების საგნობრივი ექსპერტის, ირმა ავალიანის, განცხადებით, საბუნებისმეტყველო მეცნიერებების მიმართულებით გაიცა რჩევები, რომლებიც ეხებოდა არსებული რესურსების მაქსიმალურად ათვისებას.
საბჭოს თავმჯდომარე, დავით მალაზონია დაინტერესდა, როგორი იყო სკოლის მზაობა გაცემული რჩევებისა და რეკომენდაციების გათვალისწინებისთვის.
სკოლის დირექტორის მოვალეობის შემსრულებლის, სვეტლანა ტყვაცირიას, განმარტებით, დაწესებულებას დაწყებული ჰქონდა ექსპერტთა ჯგუფის მიერ გაცემული რჩევებისა და რეკომენდაციების გათვალისწინება.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, ხომ არ ჰქონდათ დამატებითი შეკითხვები სკოლის წარმომადგენლებთან ან ექსპერტებთან.

საბჭოს წევრებს შეკითხვები არ ჰქონდათ.

საბჭოს თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა სსიპ - სამტრედიის მუნიციპალიტეტის სოფელ ჩხენიშის საჯარო სკოლის ავტორიზაციისა და მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობის 200 - ით განსაზღვრის საკითხი.

ფარული კენჭისყრის მიზნით, საბჭოს სხდომაზე გამოცხადდა სათათბირო შესვენება.

დაწყების დრო: 18:00
დასრულების დრო: 18:06

კენჭისყრის შედეგები:
მომხრე - 10
წინააღმდეგი - 0

გადაწყვეტილება:

„განათლების ხარისხის განვითარების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-11 მუხლის მე-2 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის N99/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის დებულების“ მე-20 მუხლის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის, 21-ე მუხლის პირველი, მე-2 და მე-3 პუნქტებისა და 27 მუხლის მე-4 პუნქტის შესაბამისად, სსიპ - სამტრედიის მუნიციპალიტეტის სოფელ ჩხენიშის საჯარო სკოლას (ს/კ: 238762816) 9 წლის ვადით მიენიჭოს ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების სტატუსი და მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობა განესაზღვროს 200 - ით. დაწესებულებას მიენიჭოს უფლებამოსილება განახორციელოს შემდეგი ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამები:

N	ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამის სახელწოდება	ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამის საფეხური	ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების ენა	ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების ადგილი (მუნიციპალიტეტის, ქალაქის, დაბის/სოფლის და ქუჩის მითითებით)
1	ზოგადი განათლების დაწყებითი საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა	დაწყებითი	ქართული	სამტრედიის მუნიციპალიტეტი, სოფელი ჩხენიში
2	ზოგადი განათლების საბაზო საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა	საბაზო	ქართული	სამტრედიის მუნიციპალიტეტი, სოფელი ჩხენიში
3	ზოგადი განათლების საშუალო საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა	საშუალო	ქართული	სამტრედიის მუნიციპალიტეტი, სოფელი ჩხენიში

საბჭომ შუამდგომლობით მიმართა ცენტრს დაწესებულებაში მონიტორინგის განხორციელებას თან დაკავშირებით:

- **მონიტორინგი ექსპერტთა ჯგუფის შექმნით:**

მონიტორინგის დაწყების პერიოდი - 2026 წლის სექტემბრიდან;
მონიტორინგის განხორციელების ფორმა - ექსპერტთა ჯგუფის მიერ დოკუმენტაციის შესწავლა;
მონიტორინგის ფარგლები: მე-2 (დაწყებითი, საბაზო და საშუალო საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა) სტანდარტი.

- **მონიტორინგი ცენტრის მიერ ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების მიერ წარმოდგენილი დოკუმენტებისგანხილვით**

საბჭომ დაწესებულებას განუსაზღვრა 2025 წლის სექტემბერში 3.4 და 3.5 კომპონენტებთან მიმართებით, შენობა-ნაგებობების ექსპლუატაციის უსაფრთხოების შესახებ დასკვნისა და საბუნებისმეტყველო მეცნიერებების ლაბორატორიის მოწყობის დამადასტურებელი მტკიცებულებების წარმოდგენა სსიპ- განათლების ხარისხის განვითარების ეროვნულ ცენტრში.

6. სსიპ - ჭიათურის მუნიციპალიტეტის სოფელ უსახელოს საჯარო სკოლის ავტორიზაციის საკითხის განხილვა

ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს თავმჯდომარემ, დავით მალაზონიამ, დაწესებულებების წარმომადგენლებს მიმართა, ხომ არ ჰქონდათ საბჭოს წევრების მიმართ აცილება. დაწესებულების წარმომადგენლებმა დაადასტურეს, რომ საბჭოს წევრების მიმართ აცილება არ ჰქონდათ. საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას და დაწესებულების მიერ წარმოდგენილ არგუმენტირებულ პოზიციას დასკვნის პროექტთან მიმართებით. საბჭოს წევრებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ საქმის მასალებს. საბჭოს თავმჯდომარემ ჰკითხა დაინტერესებული მხარის წარმომადგენელს იცნობდა თუ არა ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. წარმომადგენელმა დაადასტურა, რომ იცნობდა დასკვნას. შესაბამისად, საბჭოს თავმჯდომარემ საბჭოს მდივანს სთხოვა, რომ ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა დაერთო ოქმისთვის, როგორც მისი განუყოფელი ნაწილი.

ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა საბჭოს სხდომაზე წარადგინა ზოგადი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის ექსპერტმა, ნანა ხუფაცარიამ. ექსპერტმა განაცხადა, რომ სსიპ - ჭიათურის მუნიციპალიტეტის სოფელ უსახელოს საჯარო სკოლაში ავტორიზაციის ვიზიტი განხორციელდა 2024 წლის 26 და 27 ივნისს. სკოლა ახორციელებდა ზოგადი განათლების დაწყებითი, საბაზო და საშუალო საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამებს, ქართულ ენაზე. ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების სტატუსის მაძიებლის თვითშეფასების ფორმის თანახმად, დაწესებულების მიერ მოთხოვნილი მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობა იყო 320. აქვე, ექსპერტის თქმით, ვიზიტის დროს, სკოლის დირექციის წარმომადგენლებმა გასაუბრებისას აღნიშნეს, რომ თვითშეფასების კითხვარის შევსებისას დაფიქსირებული იყო ტექნიკური ხარვეზი. კერძოდ, 150 მოსწავლის ნაცვლად, მითითებული იყო 320 მოსწავლე. სკოლაში არსებული მატერიალურ-ტექნიკური ბაზისა და რესურსების გათვალისწინებით, დაწესებულებას შეეძლო საგანმანათლებლო საქმიანობა განეხორციელებინა 150 მოსწავლისთვის.

ექსპერტმა, ნანა ხუფაცარიამ, ისაუბრა ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის სტანდარტების შეფასებაზე და აღნიშნა, რომ 1-ელი (სკოლის ფილოსოფია) და მე-4 (მოსწავლეთა მხარდაჭერა) სტანდარტები შეფასდა, როგორც „შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს, ხოლო მე-2 (სასკოლო კურიკულუმი) (დაწყებითი, საბაზო და საშუალო საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამები) და მე-3 (სასწავლო პროცესის ადმინისტრაციული და ინფრასტრუქტურული მხარდაჭერა) სტანდარტები შეფასებული იყო, როგორც „მეტწილად შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს“.

ექსპერტის თქმით, ექსპერტთა ჯგუფის მიერ დაწესებულების მიმართ გაიცა რეკომენდაციები და რჩევები, რომელებიც აღწერილი იყო ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების სტატუსის მაძიებლის შესახებ ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების ექსპერტთა ჯგუფის დასკვნაში.

ექსპერტმა წარმოადგინა სკოლის შენობის ამსახველი ფოტო-მასალა და აღნიშნა, რომ დაწესებულება საჭიროებდა რეაბილიტაციას.

საბჭოს თავმჯდომარემ, დავით მალაზონიამ, აღნიშნა, რომ სკოლის მიერ კურიკულუმები სხვადასხვა ფორმატით იყო წარმოდგენილი და მიმართა ექსპერტებს დაეზუსტებინათ, რა იყო აღნიშნულის მიზეზი.

უცხოური ენის საგნობრივი ექსპერტის, ნათია ღოღობერიძის განმარტებით, კურიკულუმების ფორმატი მართლაც სხვადასხვა იყო, თუმცა მასწავლებლებთან ინტერვიუს დროს გამოიკვეთა, რომ ისინი რეალურად ახორციელებდნენ იმას, რაც ჰქონდათ დოკუმენტურად გაწერილი. შინაარსობრივი მიმართულებით სკოლას არ ჰქონდა ხარვეზი, თუმცა ფორმატი ნამდვილად საჭიროებდა ერთიანი მიდგომის ჩამოყალიბებას. ექსპერტის განმარტებით, სკოლის წარმომადგენლები მუშაობდნენ გუნდურად და კოორდინირებულად.

საბჭოს წევრმა, შალვა მეკრავიშვილმა, სკოლის წარმომადგენელს მისცა რჩევა, ვებ-გვერდზე განეთავსებინათ შინაგანაწესი, ინფორმაცია სკოლის ფინანსური მდგომარეობის შესახებ და

დაწესებულების ინფრასტრუქტურის ამსახველი ფოტო-მასალა. ასევე კითხვით მიმართა სკოლის წარმომადგენელს, რას გულისხმობდა ხედვაში გაწერილ „სოციალური ორიენტაციის მქონე მოსწავლის გაზრდაში“.
სკოლის წარმომადგენლის, ნაზიბროლა ცერცვაძის, განმარტებით, სკოლის მისია, ხედვა და ღირებულებები ორიენტირებული იყო ცხოვრების ჯანსაღ წესზე და ეს ჩანაწერი მიემართებოდა აღნიშნულს.
საბჭოს მდივანმა, მანანა ჯინჭარაძემ, აღნიშნა, რომ სკოლის ხედვაში არსებული ჩანაწერი „სოციალური ორიენტაციის მქონე მოსწავლის გაზრდა“ არ მიემართებოდა ცხოვრების ჯანსაღ წესს და სკოლას მისცა რჩევა, გაესწორებინა აღნიშნული ხარვეზი.
სკოლის წარმომადგენელმა განმარტა, რომ ექსპერტთა ჯგუფის მხრიდან გაცემულ რჩევებსა და რეკომენდაციებზე სკოლას აქტიურად ჰქონდა დაწყებული მუშაობა და გადადგმული ჰქონდა გარკვეული ნაბიჯები. მისი თქმით, ბიბლიოთეკა და კომპიუტერული მეცნიერებების ლაბორატორია გადატანილი იყო პირველ სართულზე, ვინაიდან ხელმისაწვდომი ყოფილიყო ყველა მოსწავლისათვის.
საბჭოს წევრმა, მორის დანდურიშვილმა, მიმართა ექსპერტებს, დაეზუსტებინათ შეფასების რუბრიკებთან დაკავშირებით გასცეს თუ არა რაიმე რჩევა.
სახელმწიფო ენის საგნობრივი ექსპერტის, როლანდ ხოჯანაშვილის განმარტებით, ამ მიმართულებით გასცეს რჩევები, რომელთა გათვალისწინებისთვისაც მასწავლებლებს ჰქონდათ მზაობა.
საბჭოს წევრი, პეტრე ბაბილუა, დაინტერესდა, ხომ არ ჰქონდა სკოლას პროფესიული დახმარების (ტრენინგები) მიზნით მიმართული რომელიმე უწყებისთვის. სკოლის წარმომადგენლის, ნაზიბროლა ცერცვაძის, განმარტებით, მსგავსი თხოვნით დაწესებულებას არ მიუმართავს არც ერთი ორგანიზაციისთვის.
საბჭოს წევრმა, შალვა მეკრავიშვილმა, კითხვით მიმართა სკოლის დირექტორს, რა ვითარება იყო ერთწლიან სამოქმედო გეგმასთან დაკავშირებით.
სკოლის დირექტორის, გიორგი იაკობაძის, განმარტებით, დაწესებულებას შემუშავებული ჰქონდა სამოქმედო გეგმა, თუმცა აღნიშნული არ იყო ვებ-გვერდზე განთავსებული.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, ხომ არ ჰქონდათ დამატებითი შეკითხვები სკოლის წარმომადგენლებთან ან ექსპერტებთან.

საბჭოს წევრებს შეკითხვები არ ჰქონდათ.

საბჭოს თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა სსიპ - ჭიათურის მუნიციპალიტეტის სოფელ უსახელოს საჯარო სკოლის ავტორიზაციისა და მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობის 150 - ით განსაზღვრის საკითხი.

ფარული კენჭისყრის მიზნით, საბჭოს სხდომაზე გამოცხადდა სათათბირო შესვენება.

დაწყების დრო: 18:20
დასრულების დრო: 18:27

კენჭისყრის შედეგები:
მომხრე - 10
წინააღმდეგი - 0

გადაწყვეტილება:

„განათლების ხარისხის განვითარების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-11 მუხლის მე-2 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის N99/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის დებულების“ მე-20 მუხლის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის, 21-ე მუხლის პირველი, მე-2 და მე-3 პუნქტებისა და 27 მუხლის მე-4 პუნქტის შესაბამისად, სსიპ - ჭიათურის მუნიციპალიტეტის სოფელ უსახელოს საჯარო სკოლას (ს/კ: 215606379) 9 წლის ვადით მიენიჭოს ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების სტატუსი და მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობა განესაზღვროს 150 - ით. დაწესებულებას მიენიჭოს უფლებამოსილება განახორციელოს შემდეგი ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამები:

N	ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამის სახელწოდება	ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამის საფეხური	ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების ენა	ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების ადგილი (მუნიციპალიტეტის, ქალაქის, დაბის/სოფლის და ქუჩის მითითებით)
1	ზოგადი განათლების დაწყებითი საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა	დაწყებითი	ქართული	ჭიათურის მუნიციპალიტეტი, სოფელი უსახელო
2	ზოგადი განათლების საბაზო საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა	საბაზო	ქართული	ჭიათურის მუნიციპალიტეტი, სოფელი უსახელო
3	ზოგადი განათლების საშუალო საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა	საშუალო	ქართული	ჭიათურის მუნიციპალიტეტი, სოფელი უსახელო

საბჭომ შუამდგომლობით მიმართა ცენტრს დაწესებულებაში მონიტორინგის განხორციელებას თან დაკავშირებით:

- **მონიტორინგი ექსპერტთა ჯგუფის შექმნით:**

მონიტორინგის დაწყების პერიოდი - 2025 წლის სექტემბრიდან;
მონიტორინგის განხორციელების ფორმა - ადგილზე ვიზიტი;
მონიტორინგის ფარგლები: 1-ელი, მე-2 (დაწყებითი, საბაზო და საშუალო საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა), მე-3 და მე-4 სტანდარტები.

დღის წესრიგით გათვალისწინებული საკითხების განხილვის შემდგომ, 18:30 საათზე საბჭოს სხდომა დახურულად გამოცხადდა.

სსიპ-განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრი
ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭო
საბჭოს თავმჯდომარე
მალაზონია დავით

სსიპ-განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრი
ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭო
საბჭოს მდივანი
ჯინჭარაძე მანანა